# ინკლუზიური პროფესიული განათლება

ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური განათლების დანერგვა/განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტადაა მიჩნეული რომელიც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა მიიღონ უწყვეტი, ხარისხიანი, სტუდენტზე ორიენტირებული, პროფესიული განათლება. ამ მიზნით, ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ შექმნილია სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.

კოლეჯში ყოველწლიურად მატულობს სწავლის მსურველ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა. ჩარიცხულთა შორის არიან მხედველობის სირთულეების, ყრუ და სმენადაქვეითებული, ეტლით მოსარგებლე, გადაადგილების შეზღუდვის, დაუნის სინდრომის, მენტალური და სხვადასხვა ინტელექტუალური დარღვევის მქონე სტუდენტები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშესაწყობად კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებით ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, ასევე, ზრუნავს, მათ შემდგომ დასაქმებაზე.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების პროფესიული განათლების პროცესში ჩართულია:**

- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
- ✓ სსსმ პირის ორი ასისტენტი;
- ✓ ჟესტური ენის თარჯიმანი;
- ✓ ინდივიდუალური ასისტენტი;
- ✓ გადაადგილების შეზღუდვის, ინტელექტუალური დარღვევისა და ეტლით მოსარგებლე სტუდენტთათვის ასისტენტი-მძღოლი.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები:**

- ✓ რეგისტრაცია vet.emis.ge
- ✓ პროგრამის/პროგრამების არჩევა
- ✓ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სსსმ პირის შეფასება
- ✓ პრაქტიკული მოსინჯვა
- ✓ დაწესებულებაში ჩარიცხვა